დანართი №2

გამოცდის მსვლელობისას სტუდენტთა ქცევის წესები

1. სტუდენტი ვალდებულია იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/ასლი ფაკულტეტის დეკანის მიერ ბეჭდით და ხელმოწერით დამოწმებული, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება. სტუდენტი, რომელიც გამოცდაზე გამოცხადდება თავსაბურით ან ისეთი ფორმით, რომელიც საშუალებას არ იძლევა დადგინდეს სტუდენტი იყენებს თუ არა ყურსასმენს - გამოცდაზე არ დაიშვება. გამოცდაზე გამოცხადებულმა სტუდენტმა, საგამოცდო კომისიის წარმომადგენელს შესაძლებლობა უნდა მისცეს თავსაბურავთან ან სპეციალურ შესამოსელთან დაკავშირებით იზოლირებულად მოახდინოს ზედაპირული შემოწმება, გამოცდის წინ ან საეჭვოობის შემთხვევაში გამოცდის მიმდინარეობისას. *(ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი № 15 07.08.2025 წ.)*

2. *ამოღებულია (წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი № 15 07.08.2025 წ.)*

3. გამოცდაზე არ დაიშვება ფინანსური დავალიანების მქონე სტუდენტი. ფინანსური დავალიანების დაფარვის შემდეგ გამოცდის ანაზღაურება შეუძლებელია.

4. აკრძალულია გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა (მობილური ტელეფონი ან სხვა ელექტრონული ხელსაწყო) გარდა საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთების. სტუდენტი საგამოცდო დარბაზში შესვლამდე, ყველა სხვა ნივთს აბარებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელს. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან.

5. მაგიდაზე არ უნდა იყოს არც ერთი ნივთი, გარდა სტუდენტის პირადობის მოწმობის, საწერი კალმის, სასმელი წყლისა და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა.

6. სამუშაო მაგიდაზე რაიმე სხვა ფურცლის აღმოჩენის შემთხვევაში, სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას. ხოლო გამოცდის დაწყების შემდეგ ნებისმიერი სხვა დარღვევის შემთხვევაში იგი მოიხსნება გამოცდიდან.

7. აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც დააზიანებს საგამოცდო ტექნიკას და ხელს შეუშლის საგამოცდო პროცესს. აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან.

8. აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს საუბარი. ერთმანეთთან გადალაპარაკების გამო სტუდენტი მიიღებს გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში, მოიხსნება გამოცდიდან.

9. გამოცდიდან მოხსნის საფუძველი შეიძლება გახდეს დისციპლინის სხვაგვარი დარღვევა.

10. სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს დამკვირვებლის გადაწყვეტილებას მისი გამოცდიდან მოხსნის თაობაზე. გამოცდიდან მოხსნილი სტუდენტის ნამუშევარი არ შეფასდება.

11. აკრძალულია საგამოცდო დარბაზიდან გასვლა საგამოცდო დროის ათვლის დაწყების შემდეგ გამოცდის დასრულებამდე. გარდა გამონაკლისი შემთხვევისა (ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება).

12. საგამოცდო დროის ამოწურვამდე 15 (თხუთმეტი) წუთით ადრე დამკვირვებელი სტუდენტებს ატყობინებს ამის შესახებ.

13. სტუდენტი ვალდებულია შუალდურ და დასკვნით გამოცდაზე გასვლის დროს დაიცვას ანონიმურობა და არ მოახდინოს თავისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამჟღავნება. წინააღმდეგ შემთხვევაში არ შეფასდება სტუდენტის ნაშრომი და მის წინააღმდეგ დაიწყება დისციპლინური დევნა.

(დამატებულია წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ოქმი #12 19.06.2024)

14. სტუდენტს შეუძლია პროცედურული და ტექნიკური ხასიათის შეკითხვების შემთხვევაში მიმართოს დამკვირვებელს.

15. სტუდენტს უფლება აქვს ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში (უნივერსიტეტიდან სხვადასხვა – კულტურულ, სამეცნიერო, სპორტულ ღონისძიებებზე მივლინება. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, სტიქიური მოვლენები) მიმართოს ფაკულტეტის უფლებამოსილ პირს, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან შუამდგომლობაზე, ინდივიდუალურ გამოცდაზე დაშვების შესახებ.

16. შმმ და სსსმ მქონე სტუდენტებისთვის შუალედური წერებისა და გამოცდებისთვის განსაზღვრულ პერიოდში, ინდივიდუალური გრაფიკით სარგებლობის უფლება.